

THE IMPORTANCE OF POSTMODERNIST TENDENCIES FOR COMPLETELY UNDERSTANDING THE NOVEL OF GODERDZI CHOKHELI „THE ARK OF SPIRIT”

პოსტმოდერნისტული ტენდენციების მნიშვნელობა გოდერძი ჩოხელის რომანის „სულეთის კიდობანი“ სრულყოფილი გააზრებისათვის

Giorgi Khorbaladze

PhD in Philology,

Professor of Gori State University,

Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,

+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,

<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

Abstract. First and foremost, we would like to point out that we prepared one chapter of our dissertation qualification work under approximately similar title in 2013. At that time, the above-mentioned chapter of the dissertation was evaluated as a particularly important scientific innovation. Later, after a few years, in one of the other dissertations, a whole series of our assessments, which we presented in that particular chapter, were rejected with just one completely unsubstantiated sentence, and moreover, it was outlined that the author of the dissertation made false attributions. Although the aforementioned fact represents a single case and no one has re-estimated a previously stated oral or written position regarding this particular part of our research because of this, we still considered ourselves obliged to review the issue, including the opposing opinion, and with this background, highlight the importance of the problem, which is far beyond the sphere of taste or scientific tactics.

Naturally, it cannot be our goal to pursue every different and especially, unsubstantiated opinion. However, we believe that leaving less uncertainty in this matter is the most important for the writer's work, and we simply do not have the right to leave ambiguity unanswered, as long as the part of Goderdzi Chokheli's work, that we focus on in this paper, must be read taking into account that the presence of postmodernism elements in these works must be taken into account, otherwise, many things will actually remain incomprehensible and harm the prospects of a full understanding of the text.

Key words: Goderdzi Chokheli, Postmodernism, novel, text interpretation.

გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,

+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,

<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

აბსტრაქტი. უპირველეს ყოვლისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში არსებული პოსტმოდერნისტული ტენდენციების შესახებ, ჩვენ დავამუშავეთ სადისერტაციო საკვალიფიკაციო ნაშრომის ერთი თავი - 2013 წელს და იმ დროისათვის, დისერტაციის აღნიშნული თავი შეფასებულ იქნა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო სიახლე. მოგვიანებით, დაახლოებით რვა წლის შემდგომ, ერთ-ერთ სხვა სადისერტაციო ნაშრომში, დისერტანტის მიერ, აბსოლუტურად დაუსაბუთებლად, მხოლოდ ერთი წინადადებით უარყოფილი იქნა პოსტმოდერნისტული ტენდენციების არსებობა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში, რამდენადაც, არ იქნა სათანადოდ გაანალიზებული ის დასკვნები და არგუმენტები, რომელიც მთელი ერთი თავის ფარგლებში საკმაოდ გვექონდა წარმოდგენილი. უფრო მეტიც, გამოიკვეთა, რომ დისერტანტი ჩვენ მოგვაწერდა იმასაც, რაც არც გვითქვამს და არც დავგვიწერია. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ფაქტი ერთეულ შემთხვევას წარმოადგენს და ამის გამო არავის გადაუფასებია მანამდე დაფიქსირებული ზეპირი თუ წერილობითი პოზიცია ჩვენი კვლევის ამ კონკრეტულ ნაწილთან მიმართებით, თავი მაინც ჩავთვალეთ მოვალედ, დამატებით მიმოგვეხილა საკითხი, მათ შორის საპირისპირო მოსაზრების გათვალისწინებით და ამ ფონზე, უფრო გამოგვეკვეთა პრობლემის მნიშვნელობაც, რაც ძალზე დიდი დისტანციით სცილდება გემოვნებისა თუ მეცნიერული ტაქტიკის სფეროს.

ბუნებრივია, ჩვენი მიზანი ვერ იქნება ყოველ განსხვავებულ და მით უფრო დასაბუთების გარეშე დატოვებულ მოსაზრებას გამოვედევნოთ, თუმცა, მიგვაჩნია რომ, ამ საკითხში ნაკლები გაურკვევლობის დატოვება უმნიშვნელოვანესია თავად მწერლის შემოქმედებისათვის და ჩვენ უბრალოდ არ გვაქვს უფლება ბუნდოვანება დავტოვოთ უპასუხოებით, რამდენადაც, გოდერძი ჩოხელის ის რომანი, რომელზეც ჩვენ წინამდებარე ნაშრომში ვამახვილებთ ყურადღებას, აუცილებლად უნდა იქნას წაკითხული იმის გათვალისწინებით, რომ ამ ნაწარმოებებში პოსტმოდერნიზმის ელემენტების არსებობა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც რომანის სწორ აღქმას განაპირობებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი რამ რეალურად დარჩება ამოუკითხავი და ზიანი მიადგება ტექსტის სრულყოფილად გააზრების პერსპექტივებს.

საკვანძო სიტყვები. გოდერძი ჩოხელი, პოსტმოდერნიზმი, რომანი, ტექსტის ინტერპრეტაცია.

შესავალი. ლიტერატურული მიმდინარეობები, მხატვრული ხერხები თუ მწერლის ინდივიდუალური გამოხატვის თავისებურებები, მნიშვნელოვანია არა მარტო მხატვრული ტექსტების შექმნის პროცესისთვის, ისინი გასააზრებელი და გასათვალისწინებელია შესაბამისი ნაწარმოების წაკითხვის დროს, ამ ყოველივეს გაუთვალისწინებლობა მით უმეტეს ხელოვნური უგულვებელყოფა გარკვეული, სუბიექტურად სასურველი მსჯელობის განსავითარებლად, საბოლოო ჯამში ზიანს აყენებს ლიტერატურული ნაწარმოების რეალურ ღირებულებას და აბუნდოვანებს მთავარ სათქმელს. ზოგ

შემთხვევაში ეს გარემოება შესაძლოა ცვლიდეს მოცემულობას ნაწილობრივ და არ ეხებოდეს არსებითს, ზოგჯერ კი სწორედ არსებითი და უმთავრესი ზიანდება. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ჩვენს აუცილებელ ვალდებულებად მივიჩნევთ, ყურადღება გავამახვილოთ ერთ კონკრეტულ გარემოებაზე, რომელმაც გვიბიძგა შეგვექმნა წინამდებარე ნაშრომი.

2021 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, დოქტორანტმა ნ. ნაზლაძემ დაიცვა დისერტაცია სათაურით - „გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, სადაც დისერტანტი, გადამეტებული მონდომებით ცდილობს მწერალის შემოქმედება მიაკუთვნოს ერთ კონკრეტულ მიმდინარეობას, კერძოდ ეგზისტენციალიზმს და როგორც ჩანს, თვლის, რომ მისეული ხედვისათვის ხელის შემშლელია მწერლის ირიბი თუ პირდაპირი კავშირი ნებისმიერ სხვა მიმდინარეობასთან, რაც, რა თქმა უნდა, მცდარი წარმოდგენაა და ზოგჯერ დამახასიათებელი დამწყებ მკვლევართათვის. ახალგაზრდა მკვლევარს დაუწერია: „გ. ხორბალაძე დისერტაციის ერთ ნაწილში ცდილობს პოსტმოდერნისტული ტენდენციები იპოვოს გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ამ მიზნით განიხილავს რამდენიმე ნაწარმოებს: „მგელი“, „სულეთის კიდობანი“ და „მიჯაჭვული რაინდები“. ჩვენ არ ვიზიარებთ მკვლევრის პოზიციას. მიგვაჩნია, რომ პოსტმოდერნიზმის ნიშნები გ. ხორბალაძის მიერ განხილული თხზულებებიდან მხოლოდ ბოლო ერთ მოთხრობაში შეიძლება დავინახოთ, რაც არასაკმარის არგუმენტად მიგვაჩნია, მწერლის რომელიმე მიმდინარეობისთვის მისაკუთვნებლად“ (ნაზლაძე, 2021: 102).

დისერტანტის ეს შეფასება უცნაურია იმ ფონზე, რომ „მწერლის რომელიმე მიმდინარეობისთვის მისაკუთვნებლად“ არც დაგვიწერია ის მონაკვეთი რომელსაც იგი ეხება. ამის გასარკვევად დავიმოწმებთ ციტატას ჩენი დისერტაციიდან: „ბუნებრივია, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება არ წარმოდგენს ტიპური პოსტმოდერნიზმის გამოვლინებას, მაგრამ იმ ელემენტების მოძიება, რომელიც დამახასიათებელია ამ მიმდინარეობისათვის, მასში საკმაოდ მრავლად არის შესაძლებელი“ (ხორბალაძე, 2013: 107). იმავე თავში, ასევე ვწერთ: „მიუხედავად ჩვენ მიერ წინა პლანზე წამოწეული ელემენტებისა ამ მიმართულებით, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გოდერძი ჩოხელი არ არის შინაგანად პოსტმოდერნისტი მწერალი, ...მისთვის, პოსტმოდერნისტი მწერლებისაგან განსხვავებით, ყოველთვის უმნიშვნელოვანესია ნაწარმოების შინაარსობრივი და იდეოლოგიური მხარე, მისი ინტერტექსტის ფუნქცია არავითარ შემთხვევაში არ არის „კლასიკური ტექსტის საზრისის ნიველირება და დესტრუქცია“ (ხორბალაძე, 2013: 122).¹ გამოდის რომ, ახალგაზრდა მკვლევარის აქ მოხმობილი ციტატის დასკვნით ნაწილში, იმავეს ამბობს რასაც ჩვენ ვწერდით, თუმცა, მისი ინტერპრეტაცია ისეთია თითქოს პირიქით დაგვეწეროს. ამდენად, ამ მიმართულებით აღარ გავაგრძელებთ მიმოხილვას და მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას რაც უმნიშვნელოვანესია ნაწარმოების სწორი ინტერპრეტაციისათვის.

მეთოდები. სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ტექსტის ინტერპრეტაციის, ანალიზისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დისერტაციის ზემოთ მოხსენიებული თავი, გოდერძი ჩოხელის რამდენიმე ნაწარმოებს ეხებოდა, ამ კონკრეტულ

¹ შენიშვნა: სადისერტაციო ნაშრომი განთავსებულია ელ. გვერდზე -

<https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/171723/1/Disertacia.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20. 10.2024 წ.)

ნარკვევში, მხოლოდ „სულეთის კიდობანის“ შემთხვევას განვიხილავთ, ვინაიდან რომანი „მგელი“ ფართე ინტერპრეტაციებისთვის განკუთვნილი პროზის კატეგორიას მიეკუთვნება და ამდენად, მას რადიკალურ ზიანს ვერ მიაყენებს ის ფაქტი, თუ ჩვენი შეფასებებისაგან განსხვავებულად გაიაზრებს სხვა მკვლევარი, რამდენადაც, ამით არსებითად არ იცვლება რომანის მთავარი პრობლემატიკა.

ასევე არ შევხებით „მიჯაჭვულ რაინდებს“, რადგან ეს იგივე იქნებოდა, მატემატიკოსმა ვინმეს უმტკიცოს, რომ ორი გამრავლებული ორზე ნამდვილად ოთხის ტოლია. ეს შედარება რომ დასაბუთებული იყოს, ძალიან მოკლედ გავიხსენებთ როგორია მოთხრობი სიუჟეტური ქარგა: მიჯაჭვულ გმირთან - ამირანთან შესაბრძოლებლად, სერვანტესის გმირი, დონ-კიხოტი ჩამოდის XX საუკუნის საქართველოში, მაგრამ შებრძოლება ლუარსაბ თათქარიძესთან უწევს. სიუჟეტი მთლიანად პოსტმოდერნისტულია. მხოლოდ ერთი ციტატაც რომ ავარჩიოთ დამოწმების მიზნით, იგი აბსოლუტურ ნათელს ფენს ჩვენს შეფასებას: „-ეგრე მოვიქცევი, თქვენო უკავკასიონესობავ, - აღუთქვა სანჩომ და ისევ მუნძულით გაჰყვა უკან ნელი ჩორთით მიმავალ როსინანტს. შორს მყინვარი ჩანდა, ხოლო თუშეთის მხარეს შვეულმფრენი მიფრინავდა“ (ჩოხელი, 2010: 25). მიჯაჭვული რაინდების სიუჟეტი ვინც იცის და ვისაც წარმოდგენა აქვს პოსტმოდერნიზმზე, ვფიქრობთ, მტკიცება არც სჭირდება, რომ ნაწილობრივ ან დიდწილად კი არა, არამედ, მთლიანად პოსტმოდერნისტულ მოთხრობაზე ვსაუბრობთ, სადაც თითქმის ყველა ნიშანი და ელემენტი გამოყენებული. პაროდია, ციტირება, ინტერტექსტუალობა, დექონსტრუქცია, ორმაგი კოდირება, მეტატექსტი, ირონია და ა. შ. ყოველი შემთხვევისათვის, მეტატექსტის თაობაზე მაინც დავაზუსტებთ: მოთხრობაში გოდერძი ჩოხელი მისივე სახელით დაწერილი ღია წერილით („ღია წერილი საქართველოს“) იწყებს თხრობას და დასკვნით ნაწილშიც, ერთგვარი მიმართვით შემოდის მოთხრობაში („იმის თქმა მინდა, რა მოხდება კავკასიონზე“), რაც მეტატექსტის ერთგვარი ფორმაა და ამდენად ყველა ნიშანია სახეზე იმისათვის, რომ ნაწარმოები პოსტმოდერნისტულ ტექსტად შევაფასოთ.

მიუხედავად აღნიშნულისა, კვლავ ვიმეორებთ და ვფიქრობთ გასაგებად, რომ გოდერძი ჩოხელი არ არის პოსტმოდერნისტი ავტორი და ის ფაქტი, რომ მის ნაწარმოებებში ვხვდებით პოსტმოდერნისტულ ტენდენციებსაც და არსებითად პოსტმოდერნისტულ რომანსაც, ვერ იქნება განმაპირობებელი იმისა, რომ ამ ერთ მიმდინარეობაში შემოვფარგლოთ მწერლის მრავალპლანიანი შემოქმედება.

რაც შეეხება წინამდებარე ნარკვევის განსჯის საგანს, ამ ეტაპზე, ჩვენ საუბარი გვექნება „სულეთის კიდობანთან“ დაკავშირებით, რამდენადაც პოსტმოდერნიზმი არ გულისხმობს მხოლოდ წერისა თუ გამოხატვის თავისებურებებს, პოსტმოდერნისტული ელემენტების წაკითხვისას, თუ გააზრებაც არ ხდება პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ნიუანსების გათვალისწინებით, მაშინ მკითხველისთვის ბევრი რამ რჩება გაურკვეველი და ბუნდოვანი. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ელემენტები საკვანძო მნიშვნელობის დატვირთვას ატარებს და მხოლოდ ფრაგმენტულ გამოხატვასთან არ გვაქვს საქმე. „სულეთის კიდობანში“ კი, ნამდვილად უმნიშვნელოვანესია ტექსტში არსებული პოსტმოდერნისტული ტენდენციების გააზრება და თუ რატომ ამაზე ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.

შინაარსობრივად, გარკვეული ალეგორიებისა და მინიშნებების საშუალებით, რომანი ზედმიწევნით ზუსტად მიმოიხილავს და მთელი სიმწვავით აკრიტიკებს 90-იანი წლების საქართველოში განვითარებულ მოვლენებს: ეროვნული ხელისუფლების დამხობა, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა, ეკონომიკური დაცემა, ინტელექტუალური და ზნეობრივი კრიზისი, ეროვნული გრძნობის დაქვეითება და მარცვა-რბევა, რაც ქვეყანამ გადაიტანა.

სებას ამბის პარალელურად ვითარდება მუზეუმის ექსპონატთა თანაცხოვრების ისტორია. ასევე საინტერესოდ, ერთგვარი კოლაჟით, შემოდის რომანში თითოეული ექსპონატის ინდივიდუალური თავგადასავალი და მოზაიკურად იკავებს უზუსტესად განსაზღვრულ ადგილს. ხოლო როგორც ბელა წიფურია აღნიშნავს: „კლურალობისა და ცვალებადობის გამო, ფაქტობრივად, არც განისაზღვრება პოსტმოდერნიზმის ერთიანი ესთეტიკური, სტილურ-პოეტიკური სისტემა... ...ურთიერთგანსხვავებული ტექსტები, რომელთაც არ აერთიანებთ რაიმე მსოფლმხედველობრივი ან ესთეტიკური პრინციპები“ (წიფურია, 2008: 280), ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პოსტმოდერნიზმში.

სებას ოჯახის ამბებიც ნაკადებად და მოზაიკურად დრო და დრო ემატება დანარჩენ ისტორიებს, რომანში თავმოყრილია: დათვის ამბავი, არწივის ამბავი, დამბაჩის ამბავი („სახელის მოხვეჭის არასწორი გზა“), ყანწის ამბავი (სადაც შემოტანილია ჯარჯის ამბავიც, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიას აცოცხლებს - დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდს), „საიდუმლო ინფორმაცია სიყვარულზე“, გუთანის ამბავი, „საიდუმლო ინფორმაცია მსხლის ხეზე“, ზარფუშზე, „ბრძანება“, დის ამბავი, „კერიანზე დაგდებულ თავმომწვარი ხის ამბავი“, ინფორმაცია ქალამნებზე, საფლავის ქვაზე, კიდობანზე ჩანართი - „დედის დალოცვა სულეთის ქვეყანაში მიმავალი შვილისა“ და ა.შ. მთლიანობაში კი, ეს ყველაფერი ეკლექტურობისა და ნონსელექციის განცდას ტოვებს. „პოსტმოდერნისტულ ოპუსში გვერდიგვერდ შეგხვდებათ სრულიად განსხვავებული მანერით შესრულებული პასაჟები, ...აქედან - პოსტმოდერნისტული თხზულების გამიზნული ეკლექტიკურობა. ამ განურჩევლობას მხატვრული გამოსახვის საშუალებათა და ასახვის ობიექტთა მიმართ ნონსელექციას (შერჩევაზე უარის თქმა) უწოდებენ“ (ბრეგაძე, 2020: 6), წერს ლევან ბრეგაძე.

კვლევის კონტექსტში გასათვალისწინებელია „სულეთის კიდობანის“ პერსონაჟთა სამყარო. უსულო საგნები მარტოობაში ადამიანურ თვისებებს იძენენ და ემსგავსებიან არა მხოლოდ ზოგადად ადამიანებს, არამედ, კონკრეტულ თანამედროვე ჩინოვნიკებს, რაც იმდენად გონებამახვილურად არის გამოხატული ავტორის მიერ, რომ განსაკუთრებული მონდომების გარეშე ჩნდება შესაბამისი ასოციაციები. თუმცა იმისათვის, რომ პაროდირებას და რემინისცენციებს (რაც ასევე პოსტმოდერნისტული მახასიათებლებია) სრულყოფილად ჩაეწვდეთ, აუცილებელია სხვა ინფორმაციებს ვფლობდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მელია იქნება უბრალოდ იგავ-არაკული ტიპის პერსონაჟი, რომელიც მელიის თვისების - ცბიერების ნიშნის გამო ხდება წინამძღოლი სებას მუზეუმში, ხოლო თუ გვეცოდინება, რომ ამ მეტსახელით კონკრეტულ ჩინოვნიკს მოიხსენიებდნენ მაშინ გასაგები ხდება, რომ სწორედ ორმაგ კოდირებასთან (კიდევ ერთი მახასიათებელი) გვაქვს საქმე: „ორითა და ფიწალი თავზე დაადგნენ სებას და სთხოვეს:

- თუ გინდა მუზეუმი მუზეუმს დაემსგავსოს, რუსების ბასტიონის ჩრდილო კედელზე რო მელიას ფიტული ჰკიდია, ის ფიტული უნდა მოიტანო, თუ არა და სუ არეულობა იქნება შენ მოწყობილ მუზეუმში.

...-მეგობრებო! მე მოხარული ვარ, რომ დიდი ხნის განშორების შემდეგ ისევ თქვენს შორის მიწევს თანაცხოვრება.

... ძირს სატანა!- დაიძახეს ზოგიერთმა ნივთებმა აქეთ-იქიდან. მელიის ფიტულმა ვითომც ვერ გაიგონა, მშვიდად განაგრძო...“ (ჩოხელი, 2010: 94). რუსეთის ბასტიონიდან ფიტულის ხელმძღვანელად მოტანაც ორმაგი კოდირების ელემენტით რომ არის ნიშანდებული, ვფიქრობთ, ეს იმდენად თვალსისაცემია, რომ არ ღირს მეტი ჩაღრმავება. მუზეუმის ექსპონატთა პარტიის (რომელსაც პრეზიდენტი მელია უდგას სათავეში), სახელწოდებაც - „მუზეუმელთა კავშირი“ („მოქალაქეთა კავშირის“ პაროდირებული ვერსიისა), ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი, ერთგვარი ინტერტექსტის სახეობაა, რამდენადაც, როგორც აღვნიშნეთ სიტუაციის სრულად აღსაქმელად სხვა ამბის ცოდნაა

საჭირო, იმისა, რასაც ავტორი, ამ რომანში აღარ განმარტავს მაგრამ გულისხმობს, რომ მკითხველისთვის ცნობილი უნდა იყოს. ამ მხრივვეა საინტერესო მელიაზე ოპოზიციის წამოძახილი: „სატანა, სატანა“ რაც „იუდა, იუდას“ პაროდირებაა და ინტერნეტ სივრცეში უმარტივესად იძებნება მაშინდელი პრეზიდენტის მიმართ წამოძახებული ამ გახმაურებული „ეპითეტის“ შესახებ. ლევან ბრეგაძის წიგნში „ქართული პოსტმოდერნიზმი“ ვკითხულობთ: „ციტირებული შეიძლება იყოს ნებისმიერი ტექსტი – მხატვრულიც, მეცნიერულიც, იურიდიულიც, პოლიტიკურიც, საცნობაროც, საკანცელარიოც. ამას ინტერტექსტუალობას უწოდებენ.

... ინტერტექსტუალობა, ... უხვად ციტირების, ალუზიის, რემინისცენციის, მიბაძვის, პაროდის სახით ვლინდება“ (ბრეგაძე, 2020: 4).

ზოგადად, მელიის პერსონაჟის კონკრეტული პერსონაზე სწორება ბევრი ნიშნით ხდება საცნაური, მაგალითად: „ხელმძღვანელს კი ეშმაკობა ისევე ესაჭიროება, როგორც სიბრძნე. ჩვენი ხელმძღვანელი მოქნილი და მოხერხებული უნდა იყოს, როგორც შინაურ საქმეებში, ასევე საგარეოში“, ეჭვი არ არის, რომ ბოლო ფრაზაში, ნაგულისხმევია სსრკ. საგარეო საქმეთა მინისტრობა.

ან ეს პასაჟი ვნახოთ - „ჩვენ ხელმძღვანელს ქვეყნის მართვის გამოცდილება უნდა ჰქონდეს ყველაფერთან ერთად.

...- სად არის მელია? სად არის მელია? – იძახდნენ ნივთები და ფიტულებში დაეძებდნენ მელიას. – მელია აქ არ არის, არა! – უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა დათვი. – მელია არ იყო, რო ამოგვადლო? – დაიძახა ფარმა. – ეგ ადრე იყო, ეხლა სხვა დროა! – წინ წამოდგა ორთითა. – ვთხოვოთ სებას და ის მოიყვანს მელიას, – აზრი გამოთქვა სადგისმა. – ვთხოვოთ, ვთხოვოთ! – დაეთანხმნენ ზოგიერთები სადგისს.“ ამ ციტატის ბოლო მონაკვეთში, „სხვა დროზე“ აქცენტირება კვლავ ყოფილ სსრკ.-ს გულისხმობს, ხოლო „ვთხოვოთ ვთხოვოთ, ასევე პაროდირებაა ცნობილი ფაქტისა, როდესაც თითქოს შევარდნაძე უარს აცხადებდა მართვის სადავეების ხელში აღებაზე და საკმაოდ ხალხმრავალ მიტინგზე გაისმა შეძახილი - „დავუჩოქოთ, დავუჩოქოთ“.

პოსტმოდერნიზმისთვის თამაშის ცნება ერთგვარი მახასიათებელია. რომანის მთავარი პერსონაჟი სებაც, სწორედაც, რომ გარკვეული თამაშის პრინციპით მოქმედებს; სება საქართველოს რუკის ფორმის მქონე ხალიჩაზე ისე ანაწილებს ექსპონატებს, როგორც მოჭადრაკე საჭადრაკო დაფაზე - ფიგურებს. ბელა წიფურიას მოსაზრებით კი, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში „თამაში ხდება ერთადერთი პირობა, რომლითაც ადამიანმა შეიძლება დაადგინოს თავისი მიმართების წესები ერთი მხრივ გარესამყაროსთან, მეორე მხრივ კი - საკუთარ საქმიანობასთან“ (წიფურია, 2008: 286).

„სულეთის კიდობანი“ განსაკუთრებულად გამოირჩევა ირონიით; რეალურისა და ირეალურის ურთიერთმონაცვლეობით, თითქოსდა ჩვეულებრივი ამბების სახით, ნაწარმოებში არაერთგზის არის შემოტანილი მწვავე ირონია. ზარფუმის თაობაზე სადგისის მიერ მელიასადმი მიწერილი მოხსენება გავიხსენოთ: „ზარფუმი არის ის საგანი, რომელიც ეხურება საარაყე ქვაბს და იქ დატრიალებული ორთქლი ზარფუმის მილიდან გამოდის. იმ მილს ცივ წყალს ასხამენ და მილის ბოლოს პატრუქია დატანებული, საიდანაც არაყი ჩამოდის. ბევრ შემას შეუკეთებ საარაყე ქვაბს, შიგნით მეტი ორთქლი დატრიალდება და მილიდანაც მეტი არაყი გამოიხდება. თუ უფრო მეტ შემას შეუკეთებ, ქვაბში უფრო წამოდულდება საარაყე მასალა და შეიძლება ისე მოხდეს, რომ არაყის მაგიერ მთხლე გამოვიდეს მილიდან. მოკლედ, ზარფუშხეა დამოკიდებული ორთქლის გამოშვება“ (ჩოხელი, 2010: 154). თუ ამ ამბავს ირონიის გარეშე წაიკითხავ, ნამდვილი ზარფუმის - უსულო საგნის ფუნქცია-დანიშნულებების დეტალური აღწერაა, ხოლო თუ უახლოეს ისტორიულ წარსულს გადახედავ და ზარფუმის თვისებებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თვისებებად წარმოიდგენ, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ საქმე პაროდირებასა და ირონიასთან გვაქვს.

არახალია, რომ პოსტმოდერნისტულ ტექსტებს ახასიათებს არასინქრონიზებული ქრონოტოპი. ამ მხრივ არაერთი მონაკვეთია საინტერესო, ისევე როგორც მთლიანად ნაწარმოები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კიდობნის ამბავი, რომელსაც მწერალი ვრცლად აღწერს და ჯერ მეფის რუსეთის ბატონობას, შემდეგ კი კომუნისტურ ეპოქას გვიხატავს. გუთნის ბიოგრაფიის სახით, შორეული ისტორიული წარსულიც ცოცხლდება.

გავიხსენოთ ბერი ზოსიმეს ამბავი, რომელიც როგორც რომანში ვკითხულობთ, ათონის მთაზე: „გუდამაყრის ხეობიდან წამოიყვანა გზადმიმავალმა ბენიამინმა და მას მერე შვილივით ზრდიდა“. პერსონაჟი ბერი ზოსიმე მეფის რუსეთის დროს ცხოვრობს, მაგრამ ათონის მთაზე ერთი ზოსიმე მოღვაწეობდა მეთერთმეტე საუკუნეში და ეს სახელი შემთხვევით არ უნდა შეერჩია ავტორს, რადგან სწორედ მან შექმნა ექვთიმე მთაწმინდელისა და ილარიონ ქართველის საგალობლები: „მონასტერში იყვნენ მწიგნობრები: ევსტრატი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი, რომელმაც შექმნა ექვთიმე მთაწმინდელისა და ილარიონ ქართველის საგალობლები“ - ვკითხულობთ ჟრნალში „კარიბჭე“ (კენკიშვილი, 2010). ექვთიმე ათონელს (მთაწმინდელს), რომანშიც საგანგებოდ ახსენებს მწერალი: „ეს მონასტერი დააარსეს იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა, რომელთა წმინდა ძვლებიც განისვენებენ იმ საძვალეში, სადაც სულ ახლახან ბენიამინის წმინდა ძვლები გადაასვენეს სამარხიდან უკანასკნელმა ქართველმა ბერებმა“. თადეოზის ანუ ბერი ზოსიმეს ამბავთან ერთად, ჩართულია მაჩვის მოკვლის ამბავიც, რაც კვლავ ნონსელექტურია. ამასთანავე, რომანში მოკლედ არის მოთხრობილი ათონის დაარსებისა და მასში მოღვაწე ქართველი ბერების ისტორია, რაც ნაწილობრივ პოსტმოდერნისტულ ციტირებას მიეკუთვნება, ზოგჯერ კი რეალურისა და გამოგონილის კომბინაციაა.

ინფორმაცია კერის შესახებ, შორეულ წარსულშიც გადაგვახედებს და იქვე ეთნოგრაფიულ-ისტორიული მასალის ციტირებასაც მოიცავს: „კერასთან წყდებოდა ოჯახის საქმეები. კერასთან უყვებოდნენ უფროსები ბაღებს საგმირო ზღაპრებს. კერასთან საპატიო ადგილზე სვამდნენ სტუმარს. კერასთან მღეროდნენ ზამთრის გრძელ ღამეებში ფანდურზე საგმირო ლექსებს. კერის პირას უწმინდური ქალი ვერ დაჯდებოდა. კერაში ღამ-ღამობით ახვევდნენ ღადარს, რომ დილით გაეღვივებინათ და ამაში იყო რაღაც დროის უწყვეტობა, რაც პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს ჩამოუტანა მიწაზე, ადამიანი კი დღესაც გულმოდგინედ ახვევს ღადარს, რომ ხვალ კიდევ გააღვივოს ცეცხლი“ (ჩოხელი, 2010: 156).

ციტირება და პაროდირება ჩანს ეპიტაპიის სტრიქონშიც - „სოფლისა თავსა მჯდომარე სოფლისა ბოლოს ესვენა, „ცრუ არის ესე სოფელი“ საფლავის ქვაზე ეწერა“ (ჩოხელი, 2010: 161), გავიხსენოთ სტრიქონები ვეფხისტყაოსნიდან: „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა წერია: ვინ მოყვარესა არ ეძენს იგი თავისა მტერია“.

ასევე ციტირებას ვხვდებით ქვეთავში „ჩანართი“ სადაც „დედის დალოცვა სულეთის ქვეყანაში მიმავალი შვილისა“, ამკარად დატირების ტექსტს ეფუძნება.

რომანში, უხვად არის გამოყენებული რემინისცენციები და ალუზიები, რაც პოსტმოდერნისტულობის დამახასიათებელია ისევე და ისევე. ამ მხრივაც არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. მაგალითად, ვახტანგ გურული მიიჩნევს, რომ ნინია აფციაურის ხმლის მიტანა სებას მუზეუმში, ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის - ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისთვის, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის რაზმის დროშის გადაცემას ასახავს სიმბოლურად (გურული, 2010).

უწესრიგოდ მიყრილი მნიშვნელობას მოკლებული ნივთები რევოლუციას აწყობენ, ფარდაგს იპყრობენ და მუზეუმის (რომელიც ამ შემთხვევაში საქართველოს სიმბოლიზებული გამოხატულებაა) ხელმძღვანელად მელიის ფიტულს ირჩევენ. მელია კი, როგორც ზემოთაც გავიხსენეთ, მანამდე რუსების აშენებული ბასტიონის გალავანზე იყო ჩამოკიდებული. ვფიქრობთ, სრულიად ნათელია რა მოვლენის რემინისცენციასთან გვაქვს

საქმე. „მიცოცავენ სამუზეუმო ექსპონატები ფარდაგზე და ყვირიან. რუსული ბასტიონიდან ჯარისკაცების აჩრდილები გამოდიან და აჯანყებულ ნივთებს ფარულად ეხმარებიან ღირებული ექსპონატების ძირს ჩამოყრაში. რკინის ფიწალმა, ხის ორთითამ და ჟანგანმა სადგისმა ფარდაგის შუაგული დაიკავეს. მერე უკვე აღარ მოეწონათ, ყველაფერი რომ ზემოთ ამოგოცებას ცდილობდა და: „ _ ეე, ეეე! ეგრე არ არის, ტო! - იყვირა ორთითამ, - ეგრე არ გამოვა, ტო! დემოკრატია იმას კი არ ნიშნავს, ყველანი ისევ ამ ფარდაგზე ამობობდეთ!“ (ჩოხელი, 2010: 92). აქაც ისევ ისეა საქმე, თუკი საქართველოს უახლეს ისტორიაზე, ოთხმოცდაათიანი წლების ცნობილ მოვლენებზე ინფორმირებული არ ხარ, ეს პასაჟი შესაძლოა იუმორისტულ იგავ-არაკად მოგეჩვენოს, მაგრამ კომიზმის განცდას მაშინვე ტრაგიზმის განწყობა ჩაანაცვლებს, როდესაც ხვდები რომ აქ სხვა ამბის ალუზია და პაროდირებაა სახეზე.

ტექსტის ალუზიურობისა და პაროდიულობის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მუზეუმის ექსპონატთა სახეებიდან თანდათან იკვეთებიან რეალური ადამიანის სახეები, რომლებიც 90-იანი წლების ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენდნენ. ზოგიერთი მათგანი უმარტივესი საცნობია, ზოგი მეტ დაკვირვებას და შემდგომში კვლევის გაგრძელებას საჭიროებს. „- ხუნტა! ხუნტა! - ყვიროდნენ თოფის მომხრეები. რკინის ფიწალი გამოეკიდა მათ და მიმოფანტა“ (ჩოხელი, 2010: 92) ასე მაგალითად, იკვეთება, რომ მუზეუმის ექსპონატ თოფის მიღმა, საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოიაზრება. სიტყვა „ხუნტაც“ განსაკუთრებულად აქტუალური სწორედ მისი პრეზიდენტობის ბოლო პერიოდიდან ხდება.

„რკინის ფიწალი, ხის ორთითა, სადგისი და მათი მომხრე ექსპონატები კართან შეეგებნენ მელიის ფიტულს, წინ გაუძღვნენ და ფარდაგზე დაუთმეს ადგილი, იქ, სადაც ადრე თოფი ეკიდა.

- სატანაა! სატანაა! - ყვიროდნენ თოფის მომხრეები **კუთხეებიდან** (ხაზი ჩვენია გ.ხ.)“ (ჩოხელი, 2010: 94), ბუნებრივია, რომ „კუთხეებში“ საქართველოს კუთხეებია ნაგულისხმები და ძირითადად სამეგრელოსა და სხვა რეგიონებში გადახვეწილ პირველი პრეზიდენტის მომხრეებს გულისხმობს მწერალი.

ამ ყოველივეს გააზრებით, იკვეთება შემდგომი ფიგურანტიც ხის ორთითას მიღმა, რომელიც ცალსახად მხედრიონის მეთაური ჯაბა იოსელიანია. ამდენად, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფიწალს და სადგისსაც უნდა ჰყავდეთ პროტაგონისტები, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ეს უკვე სხვა ტიპის კვლევის საგანია და ამ ნარკვევში სამწუხაროდ მეტად ვერ ჩავუღრმავდებით, თუმცა, რაც უკვე აღვნიშნეთ, იმის დასაბუთებას ქვემოთაც მოვახდენთ.

ზემოთ განხილული საკითხების ფონზე, ერთი რამ ცხადია და ამკარაა, რომ პოსტმოდერნისტული პაროდირების გააზრების გარეშე, რომანში მოცემული უაღრესად სერიოზული ტექსტები სასაცილო ამბავად გამოიყურება. თუნდაც ეს ციტატა ვნახოთ: „- გეუბნები არ მასროლინო-მეთქი, თორე ისეთ ადგილას შეგარჭობ, სებაიც ვეღარ გამოგადრობს იქედან! - მუქარას მოუმატა თოფმა. - აბა, მაშ მთელი ცხოვრება კუთხეებში გავატაროთ? - სადგისს წამოეშველა ფიწალი. - დაეტიეთ ყველანი თავ-თავის ადგილზე. - როდემდე უნდა ვიყოთ მიჩქმალულნი და თქვენ გამოჩინებულნი, ჰა? ჩვენც გვინდა ფარდაგზე ყოფნა, აღარ მოვიდა ჩვენი დრო? - წინ წამოიწია მაჩვის ტყავმა, რომელიც არც ფიტულს ჰგავდა და უფრო ტყავი იყო“ (ჩოხელი, 2010: 91). არადა, ზემოთ დამოწმებულ ციტატაში არსებული წამომახილი - „ეე, ეეე! ეგრე არ არის...

...ეგრე არ გამოვა, დემოკრატია იმას კი არ ნიშნავს, ყველანი ისევ ამ ფარდაგზე ამობობდეთ!“, რომელსაც ხის ორთითა (მხედრიონის ლიდერი) ამბობს, რეალურად იგივე ფრაზის პაროდირება და ციტირებაა რომელიც ჯაბა იოსელიანის ერთ-ერთ ცნობილ გამონათქვამად დაამახსოვრდა საზოგადოებას: „ვინმეს თუ გონია რო დემოკრატია არის ლობიოობა, ლობიოობა არ არი დემოკრატია და ჩვენ ვანახებთ რა არის

დემოკრატია“ (ვიდეოჩანაწერი იძებნება ინტერნეტ-სივრცეში).² ხის ორთითას ამბავი, შემდგომშიც მისი პროტაგონისტის რეალურს ამბავს მიჰყვება: „მომხრები გაიმრავლა მელიამ და ისე მოაწყო საქმე, რომ ჯერ რკინის ფიწალი ჩაადებინა სებას კიდობანში, მერე ხის ორთითა“ (ჩოხელი, 2010: 96).

რომანში გარდა ისტორიული მოვლენების აღუზიებისა კლასიკური ლიტერატურისა და მითოლოგიის აღუზიებისაც ვხვდებით, მაგალითად, დათვის ამბავი მოიცავს კოლხი მედეას აღუზიას, სადაც დაკარგული სიყვარულის გამო, ორი შვილის მკვლელობა და შემდეგ თვითმკვლელობა ფიგურირებს: „მეკვერები ილღიებში ჰქონდა აქეთ-იქით ამოჩრილი. ავიდა მაღალი კლდის თავზე. გაჩერდა. ჯერ მეკვერები გადაყარა კლდიდან, მერე წინა თათები კაცივით აიფარა თვალებზე და თვითონაც უფსკრულში ჩაიჩეხა“ (ჩოხელი, 2010: 100).

ასევე, გველეშაპის ამბავი აღუზიურია ბაზალეთის ტბის ძირას, ოქროს აკვანში მწოლიარე ჯადოსნური ყმაწვილთან: „არის ეჭვი, რომ ის გველეშაპი, რომელიც რუსის ჯარს ეჩვენებოდა ამ ბასტიონში და რის გამოც გაიქცნენ რუსები აქედან, სწორედ ის გველი იყო, ბიჭთან ერთად რომ დაიბადა. ეტყობა გაიზარდა და გველეშაპად იქცა“ (ჩოხელი, 2010: 106).

შენიშნავთ ერთ, ფრიად საინტერესო ამბავსაც. ჯერ რამდენიმე ციტატა ვნახოთ: „და დილით რომ მუზეუმში დაბრუნდა ელდა ეცა – იმ ადგილზე სადაც ფარდაზე ვახტანგ მეფის ანდერძი იყო ამოქარგული ჩრჩილებს ისეთნაირათ ამოეჭამათ ანდერძი რომ ზოგი სიტყვა მთლიანად გამქრალი იყო ანდერძიდან და სულ სხვა მნიშვნელობას იძენდა“ (ჩოხელი, 2010: 157-158). ასევე - „მთვარის შუქზე კარგად ჩანდა მთაზე გაჭრილი გორგასლის ნაგზევი“ (ჩოხელი, 2010: 164). კიდევ ერთი - „აგე, იმ მთაზე გაჭრილ ძველ ნაგზევარს ხო ხედავთ? აი, ეგ გზა საუკუნეების წინანდელია. აი, მაგ გზაზე დადიოდა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და ბოლოს ერეკლე“ (ჩოხელი, 2010: 79). ანუ, რომანში დიდი მნიშვნელობა ენიჭება და რამდენჯერმე ნახსენები ვახტანგ გორგასალი და ერეკლე მეორე, ასევე ნათქვამია, ყოველ შემთხვევაში პათოსი ასეთია - რომ ვახტანგის სიტყვა ახლა გადასხვანაირებულია და რა საინტერესოა, რომ 1995 წელს საინაუგურაციო სიტყვაში (ვიდეოჩანაწერი იძებნება ინტერნეტ სივრცეში <https://www.myvideo.ge/v/4239393>) ედუარდ შევარდნაძე ამბობს: „ჩვენ ვიმყოფებით ვახტანგ გორგასლისა და ერეკლე მეფის წმინდა საფლავებთან“ და თითქოს ამას ამბობს როგორც გარანტს მისი სიტყვის უტყუარობისა, ამდენად ვახტანგ გორგასლის სიტყვის გაყალბება თუ ჩრჩილების მიერ გამოხრაც შესაძლოა ორმაგი კოდირების ნიშნით იყოს წარმოდგენილი.

როგორც ზურაბ ქარუმიძე აღნიშნავს: „იმავე ორმაგ კოდირებას გულისხმობს კიდევ ერთი პოსტმოდერნისტული ტენდენცია – გამონაგონისა და ნამდვილის, ილუზორულისა და რეალურის ონტოლოგიური აღრევა“ (ქარუმიძე, 2009) რაც ასევე უთუოდ ახასიათებს „სულეთის კიდობანს“, ვნახოთ რამდენიმე მაგალითი: „უშველებელი წიფლის ხე მოჭრეს რუსებმა და როცა ხე მიწაზე დაეცა, გველეშაპად გადაიქცა. ხის ტოტები ბანჯგვლებად იქცა. საშინელ ხმაზე წიოდა გველეშაპი და კუდს მიწას ურტყამდა, მისდევდა რუს ჯარისკაცებს ხახადაღებული. ჯარისკაცები ბასტიონში შეიკეტნენ და იქედან ესროდნენ თოფებს“ (ჩოხელი, 2010: 80).

ან ეს გავიხსენოთ: „ერთ ღამეს კი, სიზმარში იყო თუ ცხადში, კარგად ვეღარ გაიგო ქალმა. მოეჩვენა რომ მუცლიდან ბალღი დაეღაპარაკა: – დედი, დედი! სანამ ეგ ძეგლი აქ დგას, მანამდე არ გავჩნდები, ფეხს არ გამოვადგამ აქედან!“ (ჩოხელი, 2010: 81).

² შენიშვნა: შესაბამისი ბმული: <https://www.youtube.com/watch?v=MeQQiMiwEM>

ვნახოთ კიდევ - „სადარას ადამიანის სიყვარული ჰქონდა გულში დანთებული. ღამ-ღამობით, როცა თავის ბუნაგში შეყუჟულს ჩასთვლემდა, მაშინაც კი მთვარესავით პირბადრი სამძივარი ელანდებოდა“ (ჩოხელი, 2010: 97).

ვაჟთან ერთად გაჩენილი გველის წიწილიც გავიხსენოთ: „რომელიც პატარა ბიჭს ჰქონდა შემოხვეული. როდესაც ქალმა ატირებულ ბიჭს ძუძუ ჩაუდო პირში, მეორე ძუძუზე იმ გველმა დაუწყო წოვა. ქალი ზიზღს და შიშს ვერ გრძნობდა. ისეთივე სიყვარულით დაჰყურებდა გველს, როგორც ბიჭს“ (ჩოხელი, 2010: 104).

დასკვნები. პრაქტიკულად სახეზეა ყველა ნიშანი იმისათვის, რომ რომანი პოსტმოდერნიზმის ჭრილში იქნას აღქმულ-გააზრებული. ფაქტობრივად, ძირითადი მახასიათებლებიდან მხოლოდ მეტატექსტი არ გვიხსენებია აქამდე. ერთი კომპონენტის არ არსებობა კი, როგორც წესი არ ცვლის დამოკიდებულებას როდესაც სხვა ნიშანთა ერთობლიობაა სახეზე. თუმცა, ჩვენი შეფასებით, მეტატექსტის ერთგვარ სახეობას ამ რომანში ნამდვილად ვხვდებით. ნაწარმოების ერთ-ერთ მონაკვეთში გოდერძი ჩოხელი წერს: „ხანდახან ისე საშინლად დაიქუხებს ხოლმე გუდამაყარში, რომ შეუჩვეველ კაცს ეგონება, ეხლა ეს მაღალი ცა მთებს შორის ჩამოიმსხვრევა და ერთიანად ჩაიტანს არაგვის ვიწრო ხეობას. მაღალ მთებს შორის მოქცეული ხეობა კი მართლაც ვიწროა და რაკი აქ გამუდმებით შავი არაგვი მოედინება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სადღაც ამ მთებშია ჯოჯოხეთის შესასვლელი კარი და ეს კუპრივით შავი მდინარეც იქიდან მოდის. საკმარისია წვიმა წამოვიდეს რომ გახელდებოდა, გადაირევა მდინარე, ერთი მთიდან მეორეს აწყდებოდა, ტალღებს იქორჩავს, ლოდებს მოაგორებს და რაღაცაზე გულამღვრეული მიიჩქარის ხეობის სიღრმისაკენ, თითქოს მართლა ჯოჯოხეთის გულში დგომით შეწუხებული იყოს და ახლა იქედან იმიტომ მიეჩქარება, რომ სამზეო მოიაროს, ქვეყანა მოისამოთხოს“ (ჩოხელი, 2010: 178). ამ ნარატივით, მწერალი აკეთებს ჩანართ-განმარტებას, რატომ მოხდა, ან როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო წარყვანა, რომელმაც მუზეუმი შთანთქა, რაც მეტატექსტის ნაირსახეობაა.

რომანში მწერალი ყველა პირად თავგადასავალს რაშიც იკვეთება ავტორის სურვილი - მეტად შემოვიდეს ნაწარმოებში: „-იმ ხალხში ერია ერთი შენხელა ბიჭი, რომელსაც ძალიან სწამდა ღმერთი..

- ერთხელ შუა ზაფხულში, ძალიან დაცხა, ლამის ქვეყანა გადახმა, იმ ბიჭმა ღმერთს სთხოვა და თოვლი მოიყვანა“ (ჩოხელი, 2010: 164).

გრძელი ქვეთავის ბოლოს სადგისის მობოდიშებაც მჭიდროდ უახლოვდება მეტატექსტის დანიშნულებას, რადგან მთხრობელი რეალურად მწერალია და მას შედარებით ვრძელი გამოუვიდა კონკრეტული ქვეთავი, ამიტომ პერსონაჟის მეშვეობით მიმართავს მკითხველს: „ შეიძლება ცოტა გრძელი ინფორმაცია გამომივიდა ამ კიდობანის შესახებ, ან იქნებ რაიმე ისეთი ინფორმაცია ვერ მოვიპოვე, რაც თქვენს ბრწყინვალეობას უფრო საჭიროდ მიაჩნია, მაგრამ ერთი წუთით არ დავიშურებ ცდას და დამატებითი ამბების მოგროვებას“ (ჩოხელი, 2010: 177).

თითქოს სხვათაშორის გასროლილი სადგისის შეკითხვა კი, „იქნებ არ გვჭირდება სიყვარული?“ რაც თითქმის იმავე წონის იდეოლოგიური მსჯელობის შემოტანაა, რასაც პოსტმოდერნიზტული ფილოსოფიისა ქადაგებს, რომ - ღმერთი მოკვდა, თუმცა ამ შემთხვევაში, მოსაზრება მოცემულობად კი არა დაეჭვებად არის წარმოდგენილი და ამდენად, იგი ავტორის მიერ ჩამოკრული უმთავრესი განგაშის ზარია სინამდვილეში, რომელიც კაცობრიობას უღმერთობისა და უსიყვარულობისაკენ მიმავალ გზაზე უკანდახევსაკენ მოუწოდებს.

საბოლოოდ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ჩვენდასამწუხაროდ და ამასთანავე, სრულიად უსამართლოდ, რიგ მეცნიერთა მხრიდან, გოდერძი ჩოხელის რომანი „სულეთის კიდობანი“ მწერლის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით ნაკლებად

საყურადღებოდაც კი იქნა შეფასებული. ვფიქრობთ, ეს ვითარება სწორედ იმან განაპირობა, რომ ხდება რომანის ისეთივე წაკითხვა, როგორც მწერლის დანარჩენი შემოქმედებისა, რაც მცდარი მიდგომაა და განაპირობებს კიდევ ზედაპირულ შეფასებებს, რის შედეგადაც რომანის მთავარი ნიუანსები ამოუკითხავი და გაუაზრებელი რჩება; ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს რომანის გააზრებას ისე, როგორც პოსტმოდერნისტული ტექსტის წაკითხვა აყენებს დღის წესრიგში. ამასთანავე, კვლავ ვიმეორებთ, რომ გოდერძი ჩოხელი არ არის ტიპური პოსტმოდერნისტი ავტორი, თუმცა, მას რომ აქვს პოსტმოდერნისტული ტექსტებიც, ეს ფაქტობრივი მოცემულობაა, რომლის უგულვებელყოფაც არ შეიძლება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბრეგაძე, ლ. (2020). *პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში*. თბილისი.
- გურული, ვ. (2010). *დედამიწიდან გაფრენაზე მეოცნებე – გოდერძი ჩოხელის შემოქმედების გააზრების მოკრძალებული ცდა*. თბილისი.
- კენკიშვილი, ვ. (2010). ათონელ ივერიელებს არავისი რაფერი "მარტებდათ" და "მარტებთ". *კარიბჭე*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://karibche.ambebi.ge/qristianulicckhovreba/bermonazvnoba/5925-athoneli-qarthvelebi.html>
- ნაზღაიძე, ნ. (2021). *გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა*. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
- ქარუმიძე ზ. (2009). *პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://demo.ge/index.php?do=full&id=814>
- ჩოხელი, გ. (2010). *თხზულებანი ხუთ ტომად*. ტ. 3. თბილისი.
- ხორბალაძე, გ. (2013). *გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები*. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
- წიფურია, ბ. (2008). „*პოსტმოდერნიზმი*“. *ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*. თბილისი.

REFERENCES

- bregadze, l. (2020). *p'ost'modernizmi kartul mts'erlobashi [Postmodernism in Georgian Literature]*. Tbilisi.
- guruli, v. (2010). *dedamits'idan gaprenaze meotsnebe – goderdzi chokhelis shemokmedebis gaazrebis mok'rdzalebuli tsda [Dreamer of Flying Away from the Earth – A Modest Attempt of Understanding the Work of Goderdzi Chokheli]*. Tbilisi.
- k'enk'ishvili, k'. (2010). atonel iverielebs aravisi raperi "martebdat" da "martebt" [The Iberians of Athos Did Not "Owe" Anything to Anyone and They Still Don't "owe" Anything]. *k'aribch'e [Karibche]*. Retrieved from <http://karibche.ambebi.ge/qristianulicckhovreba/bermonazvnoba/5925-athoneli-qarthvelebi.html>
- nazghaidze, n. (2021). *goderdzi chokhelis lit'erat'uruli memk'vidreoba [Literary Heritage of Goderdzi Chokheli]*. Dissertation paper. Tbilisi.
- karumidze z. (2009). *p'ost'sabch'ota sakartvelo da p'ost'modernizmi [Post-Soviet Georgia and Postmodernism]*. Retrieved from <https://demo.ge/index.php?do=full&id=814>
- chokheli, g. (2010). *tkhzulebani khut t'omad [Works in Five Volumes]*. Vol. 3. Tbilisi.
- khormaladze, g. (2013). *goderdzi chokhelis shemokmedebis dziritadi t'endentsiebi [The Main Trends of Goderdzi Chokheli's Creativity]*. Dissertation paper. Tbilisi.
- ts'ipuria, b. (2008). „*p'ost'modernizmi*“. *lit'erat'uris teoria, XX sauk'unis dziritadi metodologiuri k'ontseptsiebi da mimdinareobebi [“Postmodernism”. Theory of Literature, Main Methodological Concepts and Movements of the 20th Century]*. Tbilisi.